ხაშურის მოამბე

№13 (264) 20 ივლისი, ორშაბათი, 2020 წელი

მთავრობას, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშე, შემზღუდავი ღონისძიებების გამოყენების უფლება 2020 წლის ბოლომდე გაუხანგრძლივდა

პარლამენტმა "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი 79 ხმით დაამტკიცა.

აღნიშნული ცვლილებებით, მთავრობას საკარანტინო ღონისძიებების გატარების უფლება, რაც დაკავშირებულია გადაადგილების, ეკონომიკური საქმიანობის, საკუთრების, თავშეყრის, შრომის და სხვა უფლებების შეზღუდვასთან, 15 ივლისის ნაცვლად, 2021 წლის 1იანვრამდე შეეძლება.

ცნობისათვის, საკარანტინო ღონისძიებებში, მოიაზრება ღონისძიებები, რომლებიც განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის დროს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით და შეიძლება გულისხმობდეს შესაბამისი შეზღუდვების დროებით დაწესებას, საჯარო დაწესებულებების, აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემავალი სხვა დაწესებულებების, საჯარო სმართლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სხვა იურიდიული პირების საქმიანობასთან\ადმინისტრირებასთან, საჯარო სერვისების მიწოდებასთან, პირთა მიმოსვლასთან, საკუთრებასთან, შრომასთან, პროფესიულ ან ეკონომიკურ საქმიანობასთან, უკანონო მიგრაციასთან,\საერთაშორისო დაცვასთან ან\და სოციალური ღონისძიებების გატარება ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშეც შეუძლია. შესაბამისად, მათ ასამოქმედებლად, მთავრობას არ სჭირდება პარლამენტის მხარდაჭერა.

სოფელ ჩორჩანაში მისასვლელი გზა სრულიად რეაბილიტირებული იქნება

ხაშურის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ჩორჩანაში, რეგიონებში განსახორციელებელი ფონდის თანადაფინანსებით, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს.

სამუშაოები ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ ჯანაშვილმა დაათვალიერეს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.

პროექტი, რომლის ღირებულებაც 869 448 ლარია, მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება და ადგილობრივები მკვეთრად გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურით სარგებლობას შეძლებენ.

ოსიაურისა და ხცისის საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

აღნიშნულ სკოლებში იმყოფებოდნენ და მიმდინარე სამუშაოებს ეცნობოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი და მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი. მათი განმარტებით, სკოლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სასწავლო პროცესების უკეთ წარმართვას.

ოსიაურისა და ხცისის საჯარო სკოლებში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება ჯამში 98 500 ლარს მოიცავს.

კომპენსაციის მისაღებად თვითდასაქმებულთა ვადა 1-ელ აგვისტომდე გახანგრძლივდა

უკვე რეგისტრირებულ პირებსაც ეძლევათ შესაძლებლობა არასრული/დაუზუსტებელი მიმაგრებული დოკუმენტაცია გაანახლონ 2020 წლის 1 აგვისტომდე.

ასევე, მთავრობის გადაწყვეტილებით, მოქალაქეების სოციალური დახმარების პროგრამის მიზნობრიობა თვითდასაქმებულების ნაწილში გაფართოვდა და დახმარებით საზღვარგარეთ სეზონურ სამუშაოებზე დასაქმებული ადამიანებიც სარგებლობენ.

9 ივლისის მონაცემები, სახელმწიფოსგან დახმარება მიიღო 121 719-მა თვითდასაქმებულმა და 129 000-ზე მეტმა დასაქმებულმა, რომელმაც სამსახური დაკარგა.

მოქალაქეები უნდა დარეგისტრირდნენ ჯანდაცვის სამინისტროს სარეგისტრაციო პორტალზე https://compensation.moh.gov.ge

ა(ა)იპ "ხაშურსერვისის" მიერ 2020 წლის პირველ და მეორე კვარტლში გაწეული მუშაობის ანგარიში

პირველი კვარტალი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 დეკემბრის №118-119-120 განკარგულებებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის და წყლის სისტემის ზედამხედველობის, სასაფლაოს მოწყობისა და მოვლის ღონისძიებების, მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის,მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების, მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნებისა და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გათვალისწინებული პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო დაფინანსება

		ხელფასი	საქონელი და მომსახურება	სულ საფინანსებ
1	დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები	570000	356000	926000
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის გარე განათება	90000	284200	374200
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობა	144000	131000	275000
4	წყლის სისტემის ზედამხ	17375	2625	20000
5	გამწვანების პროგრამა	193000	57000	250000
6	მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატატრონობის პროგრამა	55000	8000	63000
7	სასაფლაოების მოვლა-პატრონობისა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა	38500	15500	54000
	ჯამი	1107875	854325	1962200

1 962 200 ლარი.

აღნიშნული პროგრამის შესრულება დაევალა ა(ა)ი.პ ხაშურსერვისს, ხოლო პროგრამის შესრულებაზე მონიტორინგის განახორციება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურს. მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით შედგენილი იქნა 2020 წლის პროგრამით გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოების დაფინანსების დანახარჯთა გეგმა.

პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დანახარჯთა გეგმა განისაზღვრა საკუთარი შემოსავლების გათვალისწინებით 642050 ლარით, საიდანაც ხელფასის ფონდი განისაზღვრა 276950 ლარით. ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრა- 365100 ლარით. გამოცხადებული იქნა შვიდი ელექტრონული ტენდერი თანხით-334236 ლარის და შედგენილი იქნა 18 გამარტივებული ელექტრონული ტიპის ხელშეკრულება, რომლის ღირებულება შეადგენს -25857 ლარს. 2020 წლის პირველ კვარტალში გახარჯული იქნა 556981,68 ლარი, (ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაიხარჯა 535119,53 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან გაიხარჯა 21862,15 ლარი.) ხელფასის სახით გაიხარჯა- 256528,97 ლარი, ნაცვლად დაგეგმილი- 276950 ლარისა. საქონელი და მომსახურების მუხლში გაიხარჯა 300452,71 ლარი ნაცვლად დაგეგმილი 365100 ლარისა. შეძენილი იქნა- 29970 ლიტრი დიზელის საწვავი თანხით- 66815,34 ლარის. 2645 ლიტრი ბენზინი-5617,88 ლარის, ავტომანქანის საწვავი გაზი 30000 მ3-ი 35759,70 ლარის. „ხაშურსერვისის" სარგებლობაში არსებულ ტექნიკის მომსახურებასა და სათადარიგო ნაწილების შეძენაზე გაწეულმა დანახარჯებმა შეადგინა 67462,18 ლარი. 2020 წლის პირველ კვარტალში მიღებულმა საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 25466 ლარი (ტექნიკის მომსახურეობიდან 18414 ლარი, სასაფლაოების მოვლა-პატრონობიდან -7052 ლარი), ნაცვლად დაგეგმილი 16500 ლარისა. მიღებული საკუთარი შემოსავლიდან პირველ კვარტალში გახარჯული იქნა 21862,15 ლარი. (მესაფლავეების ხელფასზე-2557,55 ლარი, სანაგვე ურნების გორგოლაჭების შეძენაზე-4900 ლარი, ტექნიკის სარემონტო სამუშაოებზე, კომუნალურ გადასახადებსა და საამშენებლო მასალებზე- 14404,60 ლარი.) .

კორონავირუსის პანდემიის გამო, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისს" არ შეუწყვეტია პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება. საკუთარი შემოსავლებით თანამშრომლებისთვის შეძენილი იქნა 300 ცალი პირბადე და კალციუმის ჰიპოქლორიდის (კირიანი ქლორი) ხსნარი, რომლითაც დეზინფექცია ჩაუტარდა სანაგვე კონტეინერებს, საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებს და ქ. ხაშურის ცენტრალურ ქუჩებზე ქვეითად მოსიარულეთა სავალ ბილიკს (ტროტუარს). საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გამო, საზოგადოებრივი ტრანსპორტის აკრძალვით გამოწვეული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, ხაშურსერვისის სარგებლობაში არსებული მსუბუქი ავტომანქანების გამოყენებით, მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ სამედიცინო ამბულატორიებში, ჩვენი ხარჯებით, დღემდე ვახდენთ ექიმთა ტრანსპორტირებას და სოფლებიდან მოსახლეობის გადმოყვანას ქ. ხაშურში არსებულ აფთიაქებში. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, ა(ა)ი.პ „ხაშურსერვისის" თანამშრომელთა წახალისების მიზნით, საკუთარი შემოსავლებით, შეძენილი იქნა და დაურიგდათ თანამშრომლებს 7757 ლაარის საკვები პროდუქტები. 2020 წლის პირველი კვარტლიდან გავზარდეთ მუშათა ხელფასი 400 ლარიდან 425 ლარამდე. მეეზოვეებისა და დასუფთავების ქვითრების დამრიგებელთა ხელფასი 250 ლარიდან 270 ლარამდე, მძროლების ხელფასი - 400 ლარიდან 450 ლარამდე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 926 000 ლარი, საიდანც ხელფასის ფონდი შეადგენს 570 000 ლარს, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრება 356 000 ლარით. 2020 წლის პირველ კვარტალში დანახარჯთა გეგმა განისაზღვრა 271500 ლარით, საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენს 142500 ლარს, ხოლო საქონელი და მომსახურების დანახარჯთა მუხლი განისაზღვრა 129 000 ლარით. დასუფთავების პროგრამის შესრულებაზე დასაქმებულია 134 თანამშრომელი. 1 მენეჯერი, 4 სპეციალისტი, 40 მეეზოვე, 42 მუშა, 22 დასუფთავების ქვითრების დამრიგებელი, 13 მძღოლი, 6 დამლაგებელი, 6 სამუშაოთა მწარმოებელი და ადმინისტრაციის მოსამსახურე. დასუფთავების პროგრამის შესასრულებლად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 665 ცალი კონტეინერი. ,გამოიყენება ექვსი ერთეული ნაგავშემკრები სპეცტექნიკა და ხუთი სატვირთო ავტომანქანა. ყოველდღიურად ქ.ხაშურში იგვება 48100 მ 2 , ხოლო დაბა სურამში 15500 მ 2 ფართი. თვეში ერთხელ ვახორციელებთ ქ.ხაშურში და დაბა სურამში საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება -გაწმენდას 638000 მ 2- ზე. 2020 წელს პირველ კვარტალში ხაშურის ნაგავსაყრელზე გატანილი იქნა 19672 მ 3 საყოფაცხოვრებო ნარჩენი. 2020 წლის პირველ კვარტალში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული და გახარჯული იქნა 237502,84 ლარი, ნაცვლად დაგეგმილი 261500 ლარისა. ხელფასის სახით გაიხარჯა 140584,39 ლარი, ნაცვლად დაგეგმილი 142500 ლარისა. საქონელი და მომსახურების მუხლში გაიხარჯა 96918,45 ლარი, დაგეგმილი 119000 ლარისა. გარდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სუფსიდიისა, დასუფთავების სამუშაოებისათვის გამოყენებული და გახარჯული იქნა საკუთარი შემოსავლებიდან 11760,94 ლარი. შეძენილი იქნა 4900 ლარის სანაგვე კონტეინერის გორგოლაჭები. საამშენებლო მასალებში და სათადარიგო ნაწილებში გადახდილი იქნა - 6860,94 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვასა და რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2020 წლის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის გამოყოფილია 374200 ლარი.საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენს 90 000 ლარს,ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრა 284200 ლარით. 2020 წლის პირველ კვარტალში დანახარჯთა გეგმა განისაზღვრა 171550 ლარით. ხელფასის ფონდი 21540, ხოლო საქონელი და მომსახურების დანახარჯთა მუხლი 150010ლარით. გარე განათებისათვის საჭირო მასალების შესაძენად ჩატარებული იქნა ერთი ელექტრონული ტენდერი თანხით- 115161 ლარი. სადაც შეძენილი იქნა 1400 მეტრი ელექტრო სადენი, ავტოამომრთველები და 4755 ცალი სხვადასხვა ამპერისა და ტიპის დიოდური ნათურა, რომლებიც გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის დასახლებების გარე განათების სამუშაოების შესასრულებლად. გარე განათების მოვლა-შენახვაზე დასაქმებულია: ერთი მენეჯერი, ერთი ბრიგადირ-ელექტრიკოსი, ხუთი ელექრტიკოსი და ორი მძღოლი, ემსახურება ორი სპეცავტომანქანა(ამწეკალათი). 2020 წლის პირველ კვარტალში გარე განათების სამუშაოებზე ხელფასის სახით გაიხარჯა 19220 ლარი, ნაცვლად-21540 ლარისა. ელექტრო საქონელისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციასა და მოვლა-შენახვაზე 136036,79 ლარი, ნაცვლად 150010 ლარისა. გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვასა და რეაბილიტაციაზე დასაქმებული შვიდი თანამშრომელი, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ელექტრო უსაფრთხოების წესების შესწავლის მიზნით, გადამზადებული იქნენ სახელმწიფო ლიცენზიის მქონე სასწავლებელში.(შ.პ.ს „კვალიელექტროფიკაცია+. ს/ნ-406270333) .

ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობაზე 2020 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 275 000 ლარი, საიდანაც პირველი კვარტლის დანახარჯთა გეგმა განისაზღვრა 83750 ლარით. შიდა გზების მოვლა -პატრონობაზე დასაქმებულია ექვსი თანამშრომელი: ერთი მენეჯერი, ერთი გზის ინჟინერი, ოთხი მექანიზატორი, სამი ერთეული საგზაო ტექნიკა: გზის გრეიდერი, ექსკავატორ-დამტვირთი და მუხლუხიანი ტრაქტორი. ქვეყანაში გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობით გამოცხადებულმა შეზღუდვებმა უარყოფითი გავლენა იქონია ჩვენს მუშაობაზე, დროში გაიწელა და ვერ ნოხერხდა ქვიშა-ხრეშის შესყიდვაზე ტენდერის გამოცხადება. 2020 წლის იანვრის თვეში სოფელ ხცისში 700 მეტრის სიგრძეზე და 4 მეტრის სიგანეზე გაიწმინდა მდინარე ხცისულას კალაპოტი,საიდანაც ამოღებული იქნა 2000 მ3 მიწა და ღორღი. 785კბმ გატანილი იქნა სოფლიდან და მოსწორდა ტერიტორიაზე. საგზაო გრეიდერით მოსწორებული იქნა გზა მეფრინველეობის ფაბრიკის

NN	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2020 წელ				
			Iკვარტ	IIკვარტ	IIIკვარტ	IVკვარტ
	მომუშავეთა რიცხოვნობა	215	215	215	215	215
	სულ დაფინანსება	**2028200**	**642050**	**508485**	**472050**	**405615**
	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	1962200	625550	491985	455550	389115
	სხვა შემოსულობები და შემოსავლები	66000	16500	16500	16500	16500
	სულ გადასახადები					
1	შრომის ანაზღაურება	**1107875**	**276950**	**276950**	**276950**	**277025**
2	საქონელი და მომსახურება	**518000**	**191200**	**127800**	**114800**	**84200**
3	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება					
4	მივლინებები	4200	1000	1100	1100	1000
5	ოფისის ხარჯები	8800	2200	2200	2200	2200
6	წარმომადგენლობითი ხარჯები					
7	კვების ხარჯები					
8	სამედიცინო ხარჯები					
9	რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	17000	6000	2500	2500	6000
10	ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი	488000	182000	122000	109000	75000
11	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	**336325**	**157400**	**87235**	**53800**	**37890**
12	დანარჩენი საქონელი და მომსახურება საკუთარი შემოსავლებიდან	**66000**	**16500**	**16500**	**26500**	**6500**
	ჯამი	**2028200**	**642050**	**508485**	**472050**	**405615**

ბინებთან 3900კვმ-ზე, ჭავჭავაძის ქუჩაზე 1925 კვმ-ზე. თებერვლის თვეში თოვლისგან გაიწმინდა და მოეყარა მარილიანი ღორღი ხაშურის ცენტრალურ ქუჩებს. თოვლისგან გაიწმინდა სოფელ მონასტრის, მჭედლიშვილების უბანს, ჩორჩანისა და ბროლოსნის მისასვლელი გზები. მარტის თვეში საგზაო გრეიდერით მოსწორდა ალის, ქვიშხეთის, ხცისის,გომის, ოსიაურის, წრომის, სურამისა და ცოცხნარის საკრებულოს ტერიტორიაზე არსებული სოფლის მისასვლელი და შიდა გზები. 2020 წლის პირველ კვარტალში დაიხარჯა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სუფსიდია 61628,13 ლარი (საქონელი და მომსახურების მუხლით-33434,13 ლარი, ხელფასის მუხლით-28194 ლარი) და საკუთარი შემოსავლებიდან 3557,50 ლარი, ნაცვლად დაგეგმილი 83750 ლარისა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების, მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნებისა და სკვერების მოვლა-შენახვისათვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2020 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან განკარგულებით გა-

(დასასრული III გვერდზე)

ა(ა)ი.პ "ხაშურსერვისის" მიერ 2020 წლის პირველ და მეორე კვარტლში გაწეული მუშაობის ანგარიში

(დასასრული III გვერდზე)

მოეყო დაფინანსება 250 000 ლარი. პირველი კვარტლის დანახარჯები გეგმით განისაზღვრა 67500 ლარით, საიდანაც ხელფასის ფონდია-48250 ლარი, საქონელი და მომსახურება - 19250 ლარი. პირველი კვარტლის ფაქტიურმა დანახარჯმა შეადგინა 48853,69 ლარი, საიდანაც ხელფასის დანახარჯმა შეადგინა 28410 ლარი, საქონელი და მომსახურების დანახარჯმა- 20443,69 ლარი.

მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის ღონინისძიებების პროგრამის შესასრულებლად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2020 წელისათვის დაამტკიცა 63 000 ლარი. 2020 წლის პირველი კვარტლის დანახარჯთა გეგმა განისაზღვრა 17750 ლარით. ფაქტობრივად, გაიხარჯა 16314,17 ლარი. საიდანაც ხელფასის ხარჯი შეადგენს -13314 ლარს. შეძენილი იქნა ძაღლის საკვები- 1175 ლარის. აღნიშნული პროგრამის შესასრულებლად დასაქმებულია 8 თანამშრომელი. ორი სპეციალისტი, ერთი-ფერშალ-ლაბორანტი, ცხოველების დამჭერი ორი კინოლოგი, ერთი - ვეტექიმი, ერთი ცხოველების მომვლელი, ერთი მძღოლი. 2020 წლის პირველ კვარტალში ცხოველთა თავშესაფარში შემოყვანილი იყო 100 ძაღლი. 19 ძაღლს ჩაუტარდა მკურნალობა. 10 ძაღლი დაიღუპა. 10 ძაღლი გაჩუქებული იქნა. დაუბრუნდა ბინადრობის პირვანდელ არიალს 80 ძაღლი. სულ შემოსული იყო 45 გამოძახება, ყველაზე მოხდა სათანადო რეაგირება.

მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებებზე 2020 წლისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოყო 54 000 ლარი. (ხელფასისათვის - 38500 ლარი, საქონელი და მომსახურებისათვის - 15500 ლარი) 2020 წლის პირველი კვარტლისათვის დაგეგმილი იყო 18500 ლარის ხარჯი (ხელფასისთვის - 9625 ლარი, საქონელი და მომსახურებისათვის-3875 ლარი.) ფაქტიურმა დანახარჯმა შეადგინა10767,48 ლარი, საიდანაც ხელფასის ხარჯია 9135 ლარი. 2020 წლის პირველ კვარტალში ორგანიზაციის სამი მესაფლავის მიერ სასაფლაოების მოწყობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 7052 ლარი, საიდანაც ხელფასის სახით მესაფლავეებზე დაირიცხა 4442,76 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წყლის სათავე-ნაგებობების ზედამხედველებზე 2020 წელს გამოყოფილი იქნნა 20000 ლარი, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ხელფასის სახით გაიხარჯა 4725 ლარი.

მეორე კვარტალი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 დეკემბრის 118-119-120 განკარგულებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებებს, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების მოვლა-პატრონობის და წყლის სისტემის ზედამხედველობის, სასაფლაოს მოწყობისა და მოვლის ღონისძიებების, მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის,მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების, მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნებისა და სკვერების მოვლა-შენახვის მიზნით გათვალისწინებული პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო დაფინანსება 1 962 200 ლარი.

პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად მიმდინარე წლის მე-2 კვარტალში,დანახარჯთა გეგმა განისაზღვრა 491985 ლარით, საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენს 276950 ლარის, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი - 215035 ლარს. 2020 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით (I-II კვარტლის), ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებით დანახარჯთა გეგმა განისაზღვრა 1 117 535 ლარით, აქედან ხელფასის ფონდი შეადგენს 665653 ლარს, საქონელი და მომსახურების დანახარჯები 451 882 ლარს. 2020 1 იანვრიდან 30 ივნისის საქონელისა და მომსახურების შეძენაზე შედგენილი იქნა 78 ხელშეკრულება 790923,55 ლარზე, საიდანაც საკასო შესრულება შეადგენს 543205,38 ლარს. 78 ხელშეკრულებიდან კონსოლიდირებულ ტენდერებზე შედგენილის 9 ხელშეკრულება თანხით 697056 ლარის, რომლის საკასო შესრულება 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 273407,48 ლარს. გაფორმებული იქნა გამარტივებული ტიპის 55 ხელშეკრულიბა 66073,06 ლარზე, რომლის ფაქტიური საკასო შესრულება 30ივნისის მდგომარეობით შეადგენს 58087,94 ლარს. შედგენილი იქნა გამარტივებული ელექტრო ტენდერის 9 ხელშეკრულება, თანხით 277942,49 ლარის, რომლის ფაქტიური საკასო შესრულება შეადგენს 273407,48 ლარს. 2020 წლის მეორე კვარტალში გახარჯული იქნა 428146,65 ლარი, ნაცვლად დაგეგმილი 491985 ლარისა, ხელფასის ფონდის დანახარჯი დაგეგმილი იყო 276950 ლარით ფაქტიურ დანახარჯმა შეადგინა 259350,19 ლარმა. 2020 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის დანახარჯებმა შეადგინა 965670,85 ლარმა, ნაცვლად დაგეგმილი 1 117 535 ლარისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული იქნა 848398 83 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლებმა შეადგინა 47560 ლარმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების პროგრამის განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2020 წლის მეორე კვარტალში დანახარჯთა გეგმა განისაზღვრა 231500 ლარით, საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენს 142500 ლარს , ხოლო საქონელი და მომსახურების დანახარჯთა მუხლი განისაზღვრა 89000 ლარით. მუნიციპალიტეტის ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებაზე დასაქმებულია 134 თანამშრომელი – 1 მენეჯერი, 4 სპეციალისტი, 40 მეეზოვე, 42 მუშა, 22 დასუფთავების ქვითრების დამრიგებელი, 13 მძღოლი, 6 დამლაგებელი, 6 სამუშაოთა მწარმოებელი და ადმინისტრაციის მოსამსახურე). დასუფთავების პროგრამის შესასრულებლად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 665 ცალი კონტეინერი. ,გამოიყენება ექვსი ერთეული ნაგავშემკრები სპეცტექნიკა და ხუთი სატვირთო ავტომანქანა. ყოველდღიურად ქ.ხაშურში იგვება 48100 მ 2 , ხოლო დაბა სურამში 15500 მ 2 ფართი. თვეში ერთხელ ვახორციელებთ ქ.ხაშურში და დაბა სურამში საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება -გაწმენდას 638000 მ 2- ზე.

		ხელფასი	საქონელი და მომსახურება	სულ საფინანსება
1	დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები	570000	356000	926000
2	ხაშურის მუნიციპალიტეტის გარე განათება	90000	284200	374200
3	ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობა	144000	131000	275000
4	წყლის სისტემის ზედამხედველობა	17375	2625	20000
5	გამწვანების პროგრამა	193000	57000	250000
6	მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატატრონობის პროგრამა	55000	8000	63000
7	სასაფლაოების მოვლა-პატრონობისა და სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა	38500	15500	54000
	ჯამი	1107875	854325	1962200

2020 წელს მეორე კვარტალში ხაშურის ნაგავსაყრელზე გატანილი იქნა 20000 მ 3--ზე მეტი საყოფაცხოვრებო ნარჩენი. 2020 წლის მეორე კვარტალში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული და გახარჯული იქნა 240182,04 ლარი, ნა ვლად დაგეგმილი 261500 ლარისა. ხელფასის სახით გაიხარჯა 1146853,16 ლარი, ნაცვლად დაგეგმილი 142500 ლარისა. გარდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სუფსიდიისა, დასუფთავების სამუშაოებისათვის მიმდინარე წლის მე-2 კვარტალში გამოყენებული და გახარჯული იქნა საკუთარი შემოსავლებიდან 16792,76ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვასა და რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2020 წლის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისათვის გამოყოფილია 374200 ლარი.საიდანაც ხელფასის ფონდი შეადგენს 90 000 ლარს,ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლი განისაზღვრა 284200 ლარით. 2020 წლის მეორე კვარტალში დანახარჯთა გეგმა განისაზღვრა 93550 ლარით. აქედან ხელფასის ფონდი 22500, ხოლო საქონელი და მომსახურების დანახარჯთა მუხლი 72550 ლარით. გარე განათებისათვის საჭირო მასალების შესაძენად ჩატარებული ტენდერებით შეძენილი იქნა 164645 ლარის ელექტრო მასალები.(ელექტრო სადენები, ელექტრო ჩამრთველ-ამომრთველები, 7199 ცალი დიოდური ელექტრო ნათურა და სხა ელექტრო საქონელი), რომლებიც გამოყენებული იქნა მუნიციპალიტეტის დასახლებების გარე განათების სამუშაოების შესასრულებლად. გარე განათების მოვლა-შენახვაზე დასაქმებულია: ერთი მენეჯერი, ერთი ბრიგადირ-ელექტრიკოსი, ხუთი ელექრტიკოსი და ორი მძღოლი, ემსახურება ორი სპეცავტომანქანა(ამწეკალათი). 2020 წლის მეორე კვარტალში გარე განათების სამუშაოებზე ხელფასის სახით გაიხარჯა 19680 ლარი, ნაცვლად დაგეგმილი-22500 ლარისა. კვალიფიკაციის ამაღლებისა და ელექტრო უსაფრთხოების წესების შესწავლის მიზნით, ყოველწლიურად, სახელმწიფო ლიცენზიის მქონე სასწავლებელში ვახდენთ გარე განათების სისტემაში დასაქმებული თანამშრომლების გადამზადებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოვლა-პატრონობაზე 2020 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 275 000 ლარი, საიდანაც მეორე კვარტლის დანახარჯთა გეგმა განისაზღვრა 67685 ლარით. შიდა გზების მოვლა -პატრონობაზე დასაქმებულია ექვსი თანამშრომელი: ერთი მენეჯერი, ერთი გზის ინჟინერი, ოთხი მექანიზატორი, სამი ერთეული საგზაო ტექნიკა: გზის გრეიდერი, ექსკავატორ-დამტვირთი და მუხლუხიანი ტრაქტორი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა გზების შეკეთებისათვის საჭირო რაოდენობის ხრეშისა და დამსხვრეული ქვაღორღის შესაძენად ჩატარებული იქნა ელექტრო ტენდერი, ტენდერში გამარჯვებული მომწოდებლისგან შეძენილი იქნება 16220 ლარის 1060 კბმ ღორღი და 500 კბმ ხრეში, რომელიც გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტის შიდა გზების შესაკეთებლად. 2020 წლის მეორე კვარტალში შიდა გზების შეკეთებაზე გახარჯული იქნა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სუფსიდია 50842,3 ლარი და საკუთარი შემოსავლებიდან 2953,65 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანების, მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნებისა და სკვერების მოვლა-შენახვისათვის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2020 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოეყო დაფინანსება 250 000 ლარის ოდენობით. მეორე კვარტლის დანახარჯები გეგმა განისაზღვრა 80500 ლარით, საიდანაც ხელფასის ფონდია-57000 ლარი, საქონელი და მომსახურება - 23500 ლარი. მეორე კვარტალში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული და გახარჯული იქნა 40611,74 ლარი. (ხელფასებში გაიხარჯა-32680 ლარი, საქონელი და მომსახურებაში-7931,74 ლარი.) ნაცვლად დაგეგმილი 80500 ლარისა.

მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობის ღონინისძიებების პროგრამის შესასრულებლად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2020 წლისათვის დაამტკიცა 63 000 ლარი. 2020 წლის მეორე კვარტლის დანახარჯთა გეგმა განისაზღვრა 13750 ლარით. ფაქტობრივად, მეორე კვარტალში გაიხარჯა 14103,12 ლარი. საიდანაც ხელფასის ხარჯმა შეადგენს -13616,44 ლარმა. მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობაზე დასაქმებულია 8 თანამშრომელი. ორი სპეციალისტი, ერთი ფერშალ-ლაბორანტი, ცხოველების დამჭერი ორი კინოლოგი, ერთი - ვეტექიმი, ერთი -ცხოველების მომვლელი, ერთი - მძღოლი. 2020 წლის მეორე კვარტალში ცხოველთა თავშესაფარში შემოყვანილი იყო 103 ძაღლი. 45 ძაღლს ჩაუტარდა მკურნალობა. 21 ძაღლი დაიღუპა. 6 ძაღლი გაჩუქებული იქნა. დაუბრუნდა ბინადრობის პირვანდელ არიალს 64 ძაღლი. სულ შემოსული იყო 85 გამოძახება, ყველაზე მოხდა სათანადო რეაგირება.

მუნიციპალიტეტის დასახლებაში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლის ღონისძიებებზე, 2020 წლისათვის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გამოყო 54 000 ლარი. (ხელფასისათვი - 38500ლარი, საქონელი და მომსახურებისათვი - 15500 ლარი) 2020 წლის მეორე კვარტლისათვის დაგეგმილი იყო 15500 ლარის ხარჯი (ადგილობრივი ბიუჯეტიდან 11500 ლარით,საკუთარი შემოსავლებიდან-4000ლარით)(ხელფასისთვი-9625 ლარი, ფაქტიურმა დანახარჯმა ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგინა 8541,70 ლარი ,ხოლო საკუთარი შემოსავლის ხარჯმა 3833,55 ლარი, 2020 წლის მეორე კვარტალში ორგანიზაციის სამი მესაფლავის მიერ სასაფლაოების მოწყობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 4060 ლარი, საიდანაც ხელფასის სახით მესაფლავეებზე დაირიცხა 2557,80 ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წყლის სათავე-ნაგებობების ზედამხედველებზე 2020 წელს გამოყოფილი იქნნა 20000 ლარი, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ხელფასის სახით გაიხარჯა 4725 ლარი.

ნ. ცხოვრებაძე,
ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ დირექტორი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2019 წ. №41,42,44,45,46,47. 2020 წ. №2,3,4,5,6,7,8,9,11,12)

თითქმის ერთი ათეული წლის შემდეგ, XIX საუკუნის 40-იან წლებში, სურამის ციხის მდგომარეობას საინტერესოდ აღწერს გერმანელი მეცნიერი და მოგზაური აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი. მან 1843 წელს იმოგზაურა საქართველოში. ქუთაისიდან მომავალი, სურამის ციხისა და მისი შემოგარენის შესახებ შემდეგს წერს: „ჩვენ ვუახლოვდებოდით ქართლს (გრუზიას). სადგურ ყვირილიდან ჩვენი გზა 60 ვერსზე მიდიოდა ღრმა ხეობებში პატარა მდინარეების გაყოლებით. ორი მთის წვერზე დავინახეთ მთის ციხეთა ნანგრევები. შემდეგ გადავედით მაღალ მთაზე, საიდანაც იშლება მთიანეთი და გზა ფართო ვაკეზე ეშვება, რომელზეც მტკვარი (ძველი კიროსი) მიიკლაკნება...

როცა ჩავედით ვაკეზე, სურამის სადგურიდან 4 ვერსზე, ვაკე ადგილზე განმარტოებით აზიდულ ციცაბო ბორცვზე იყო საუცხოო ციხის ნანგრევები, რომელიც ადრე უეჭველად წარმოადგენდა აქ განლაგებული სამხედრო დაცვის სისტემის მთავარ გასაღებს. სახელდობრ, მის წინ ერთმანეთისაგან 1000 ნაბიჯის დაშორებით იყო მთელი რიგი ცალკეული კოშკებისა. მე ისინი 5 დავთვალე ციხის ირგვლივ. ციხის უკან იყო ასევე რამდენიმე მაღლობი სიმაგრეთა ნაშთებით. მსგავსი კოშკები თითქმის ყველა ქართლურ სოფელში და მემამულეთა სამფლობელოშია. რამდენიმე წლის წინათ მათ ჯერ კიდევ თავშესაფრად იყენებდნენ სოფლის მცხოვრებნი (განსაკუთრებით მოხუცები, ქალები და ბავშვები) ლეკების, ჩერქეზების, ოსების და სხვათა ყაჩაღური თავდასხმებისას“.

აქ ყურადღებას იქცევს გერმანელი მეცნიერის სიტყვები, როცა იგი უკვე თითქმის ნანგრევებად ქცეულ სურამის ციხეს, მაინც, რომ საუცხოო ციხეს უწოდებს. კარგად მიგვანიშნებს ციხის როლზე მხარის თავდაცვით სისტემაში. საინტერესოა აგრეთვე მისი ინფორმაცია ციხის მახლობლად კოშკების არსებობის შესახებ. ე.ი. სურამი თავდაცვის თვალსაზრისით საკმაოდ გამაგრებული ჩანს. თუმცა დღეს ამ მხარეში კოშკების რაიმე კვალი არ ჩანს (მხდველობაში თუ არ მივიღებთ იტრიის კოშკს).

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი საბუთი გერმანელი მოგზაურის ამ ინფორმაციას ადასტურებს. მხედველობაში გვაქვს მურვანიშვილის თხოვნა სამეფო კარისადმი, რათა იგი გაეთავისუფლებინა გადასახადისაგან კოშკის მშენებლობის გამო. ასეთივე კოშკები უნდა ჰქონებოდათ ხიდირბეგიშვილებს, აბაშიძეებს ბეკამში და სხვა.

* * *

სურამის ციხის მიდამოები ყველაზე ძველი და საინტერესო ადგილია სურამში. ეჭვგარეშეა, რომ პირველი დასახლებაც სწორედ ამ მიდამოებში აღმოცენდა. აკად. ნ. ბერძენიშვილი ავითარებს რა ე.წ. „გორაების“ თეორიას, წერს, რომ „გარკვეულ დროს ჩვენი წინაპრები, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ისევე როგორც სხვა ხალხთა წინაპრებიც, „გორაებად“ სახლობდნენ... დღეს სადაოდ არავის უჩანს, რომ ეს „გორაები“ ჩვენი წინაპრების სოციალური განვითარების გარკვეული საფეხურის მანიშნებელია, რომ ეს „გორაები“ იყო საფუძველი, საიდანღაც განვითარდნენ უძველესი „დაბები“, „ქალაქები“, „ციხეები“, „სალოცავები“, დღეს ჩვენთვის, მაგალითად, რომ მცხეთა და თბილისი, კასპი და უფლისციხე, ვანი და რუსთავი, სურამი და გორი, ურბნისი და აღჯაყალა, ხუნანი და სამშვილდე და ყველა ძველი ქალაქი თავდაპირველად „გორა“ იყო“.

ამიტომ, საინტერესო უნდა იყოს სურამის ციხის მიდამოების შესწავლა არქეოლოგიური თვალსაზრისით, რაც, უდავოდ, მნიშვნელოვან მასალას წარმოაჩენს არა მარტო სურამის, არამედ საქართველოს უძველესი ისტორიისთვისაც.

* * *

ამბობენ, იმ მხარეს, სადაც ზურაბი ჩააშენეს, დღესაც წვეთ-წვეთად მოუონავსო დედის ანკარა ცრემლი. ხოლო კედელზე ამოსულ ბალახში ვაჟის თმებიც გამოერევა ხოლმეო. იმასაც ამბობენ, რომ ყოველ მთვარიან ღამეს სურამის ციხესთან გამოდის შავებში გახვეული ქალი და ტირილით შეჰღაღადებსო ციხის ნანგრევებს:

„სურამისა ციხეო,
სურვილითა გნახეო,
ჩემი ზურაბი მანდ არის,
კარგად შემინახეო...“

სურამიდან ფონასა და რიკოთისაკენ მიმავალ გზას **იტრიის კოშკი** ხვდებოდა. იგი მდებარეობს სოფლის დასავლეთით 100 მეტრზე ლიხის ქედის გავაკებულ ფერდობზე. აგებულია XVI- XVII საუკუნეებში. კოშკი ოთკუთხაა (4,45X 4,3 მ.), ნაგებია ნატეხიდა რიყის ქვით. კუთხეების წყობაში გამოყენებულია თლილი ქვიშაქვა.

კოშკი დაზიანებულია: ჩამონგრეულია სახურავი, სართულებს შორის გადახურვა, კედლები, შემორჩენილია ოთხი სართული. კარი კოშკს აღმოსავლეთით, მეორე სართულზე ჰქონდა. სართულებს შორის ძელური გადახურვა იყო (შემორჩენილია საძელე ბუდეები). პირველი სართულის ჩრდილოეთ კედელში მოზრდილი ბუხარია, დასავლეთის და სამხრეთის კედლებში თახჩები. მეორე სართულის ბუხარი პირველი სართულის ბუხრის ღერძზეა. კედლებში ორ-ორი სათოფურია. სათოფურები მესამე სართულის კედლებშიცაა. სამხრეთ კედელზე მიშენებულია მესამე სართულზე ასასვლელი ქვის კიბე.

კოშკის ჩრდილოეთით, ასევე სამხრეთით გარკვევით ჩანს ნაგებობათა საძირკვლის ნაშთები. კოშკი ჩხეიძეების რეზიდენცია იყო.

იტრიის კოშკის სიახლოვეს, სამხრეთით, მდებარეობს ღვთისმშობლის მიძინების სამონასტრო კომპლექსი. კომპლექსის შემადგენელი ნაწილია გალავანი (1656 წ.), რომლის სამხრეთის კედელში ჩაშენებული იყო კოშკი. შემორჩენილია 1.5 მ. სიმაღლის სამი კედელი.

თითქოს განცალკევებით იდგა **ზემო ჭალისა** და **ცხრამუხის კოშკები.** მაგრამ ისინიც გარკვეულ როლს თამაშობდნენ XVIII საუკუნის მხარის ცხოვრებაში. ეს უფრო მეტად ჩანდა ლეკთა გამუდმებული თავდასხმების პირობებში.

ზემო ჭალის კოშკი მდებარეობდა ხაშურის დღევანდელი უბნისა და ძველი სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში, იქ სადაც დღეს წმ. ნიკოლოზის ეკლესიაა, მის დასავლეთით 100 მეტრში.

კოშკი თარიღდება XVIII საუკუნით. ნაგები იყო რიყის ქვით და ჩვენს დრომდე ნანგრევების სახით იყო მოღწეული. ცილინდრული ფორმა ჰქონდა. დღეს მხოლოდ საძირკველიდა შეიმჩნევა.

XVIII საუკუნეში ზემო ჭალა ტყვეთა სყიდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა. ამ საქმიანობას აქაური აბაშიძეები ეწეოდნენ. ამის შესახებ მოგვითხრობს იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“. სწორედ ამ ფაქტთან დაკავშირებით მოიხსენიებს იოანე ბატონიშვილი ჭალის კოშკს:

“მწუხრის ჟამს მივიდნენ იგინ (იოანა ხელაშვილი და ზურაბ დამბარაშვილით.ლ.) მუნ და გარდახდეს კოშკსა გვერდით... მუნ მდგომსა (იოანეს თ.ლ.) ამა კოშკიდან ესმა ხმა რაიმე მწუხარებისა, განკვირვებული იოანე მიმოიხედავდა და უკანასკნელ იხილა კაცი ვინმე წინაშე კოშკის კარისა მდგომარე და ჰრქვა: ძმაო! რა არის ხმა ესე მწუხარებისა? ხოლო მან ჰრქვა: მამაო, ტყვეები არიანო.

იოანემ: სადაურნიო?

მან: ოსთაგანნი.

იოანემ: რაისა შეცოდებისთვისაო?

მან ჰრქვა: გასაყიდლათო“.

როდესაც იოანემ იხილა აბაშიძის რძალი ანა ქიზიყის მოურავის ასული, აუწყა, რომ თავს ბედნიერად თვლიდა მისი ხილვის გამო, თუმცა დასძინა: „გარნა რომელიმე მწუხარებაი მიიღო გულმან ჩემმან“.

ანნამ: ვინ რა შეგცოდა?

იოანემ: საბრალო ტყვეებმან.

ანნამ: ნუ იზრუნებ, მაგის საქმეს ლ. აბაშიძე განაგებს.

იოანემ: თუ დიდი ლ. აბაშიძისავით განაგებს, ღმერთმა შენ მტერს მისცეს“.

აბაშიძის კარზე შექმნილ მძიმე სოციალურ სურათზე კარგად მეტყველებს იოანეს და აბაშიძისაზნაურ პაპუნა ორჯონიკიძეს შორის გამართული დიალოგი.

იოანემ: .ი ჩვენს თავს! ჩვენ ამ განცხრომაში ვართ და ტყვეები მწუხარებაშია.

ორჯონიკიძემ: იმათ მწუხარებას ბოლოს მხიარულება შეუდგება.

იოანემ: ვითარ?

ორჯონიკიძემ: მისირში (ეგვიპტეს) მთლად ბეგებად ქართველნი არიან.

იოანემ: იგინი ლეკთაგან მოტაცებულია და გაყიდული და არა ქართველთაგან.

ორჯონიკიძემ: სულ ერთია, კაცი ვისგანაც ბედნიერებას მოიპოვებს.

იოანემ: მაგაზე მეტი უბედურება რა იქნება, რომ სულით უნდა წარწყმდენ და ხორცით თავის მშობელის მამულითგან დაიკარგნენ.

ორჯონიკიძემ: რომ არ გათათრდნენ, ხომ ცხონდებიან, ხოლო თავის მამულის მოშორვება ერთი არ არის რა, ყველგან ადგილია კაცისათვის.

იოანემ: მაგ საბრალოებს სათუოში რათ აძლევს, ეგება ვერ მოითმინონ სატანჯველი.

ორჯონიკიძემ: თუ ვერ მოითმენენ, ფაშობას მზად მიიღებენ.

იოანემ: და რაღა ვსთქვა, სახელოც დაგინიშნავს.

ორჯონკიძემ: თუ გნებავს შენც მალე გიშოვი სახელოსა, მაინც მეათე გვიკლია, რომ ხალვრათ შესრულდეს.

იოანემ: მი თქვენს სვნდისს! კოდს არა სჯერდებით და ხალვრათ უნდა გახადოთ.

ლევანმან: იმ ტყვეებს ერთი დიაკვანიც ეჭირებათ და მეტადრე შენისთანა მოქადაგე, რომ არღა გათათრდებიან.

ლევან აბაშიძის ამ სიტყვებმა დააფიქრა იოანე ხელაშვილი და იძულებული გახდა სასახლიდან გამთენიისას გაპარულიყო. სწორედ ამის შემდეგ შეამჩნევს შორიდან ხაშურის კოშკს და მიემგზავრება მისკენ.

ცხრამუხის კოშკი მდებარეობს სოფლის ცენტრში. თარიღდება XVIII საუკუნით. კოშკი გეგმით ცილინდრულია (დიამეტრი 7,5 მ.) ნაგებია რიყის ქვით. შემორჩენილია ოთხი სართული. შესასვლელი ჩრდილოეთით და სამხრეთითაა. ყველა სართულს სათოფურები აქვს.

მართალია, ზემო ჭალისა და ცხრამუხის კოშკები, როგორც ზემოთ აღინიშნა, განცალკევებით დგანან, მაგრამ ისინი სამხრეთ საქართველოსკენ მიმავალი გზის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. თავისუფლად შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ მოგვიანებით ოსიაურიდან ან ხაშურიდან ზემო ჭალაზეც და ცხრამუხაზეც გადიოდა სამხრეთ საქართველოსკენ სურამიდან მიმავალი გზის პარალელურად. ეს გზა ტაშისკართან უნდა მისულიყო.

ძირითად გზად კი მაინც სურამიდან მიმავალი გზა რჩებოდა.

გზას, რომელიც ბორჯომის ხეობით აკავშირებდა, აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ვახტანგ გორგასლის მემატიანე ჯუანშერი უწოდებს „გზასა ქართლისასა“.

ეს გზა უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. ამის დასტურია ის, რომ ლეონტი მროველი მას ჯერ კიდევ ლეგენდარული მეფის მცხეთოსის და შემდეგ მეფე ფარნავაზის (IV-III სს.) დროისთვის მოიხსენიებს (). ამ გზით ინტენსიურად სარგებლობდნენ ყოველთვის, ნებისმიერ ხანაში.

XVII ს-ის 70-იანი წლების დასაწყისში ჟან შარდენი ახალციხიდან აწყურზე გამოვლით ხეობით მოემგზავრება ქართლისაკენ. იგი მდინარე მტკვარს მოუყვება, შემოდის ქვიშხეთში, გაივლის ტეზერს, ჩერდება სურამში და აქედან მიდის გორში ურბნისზე გავლით.

ამ გზაზე გვხვდებოდა ტეზრის კოშკი. იგი მდებარეობდა სოფლის აღმოსავლეთით ერთ-ერთ უბანში, რომელიც კოშკის ტეზრის სახელწოდებით არის ცნობილი.

ვახუშტი ბატონიშვილი ტეზრის შესახებ აღნიშნავს: „სურამის ბეკმიდამ ასტყდების მაღალი გორა, მდებარებს დასავლით წიფამდე და ლიხამდე. ამ მთის სამხრით არს... ტეძერი“.

ტეზრის კოშკი XVIII საუკუნიდან გვხვდება ისტორიულ წყაროებში. 1740 წელს ვახუშტი აბაშიძე გამაგრებულა ტეზრის კოშკში, რომელიც

(გაგრძელება V გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

(გაგრძელება)

იმერეთის მეფემ-ალექსანდრემ აიღო, ვახუშტი დაატყვევა და ნავარძეთის ციხეში მოათავსა.

კოშკს,გარდა საცხოვრებლისა,თავდცვითი დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა, რადგან XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ტეზერმა მრავალგზის განიცადა ლეკთა თავდასხმები. მარტო 1732 წელს მათ ორჯერ ააოხრეს ტეზერი.

1756 წელს ლეკები კვლავ დაესხნენ ტეზერს. ამ შემთხვევაში თეიმურაზ II-ემ სასტიკად დაამარცხა ისინი: "მოვიდნენ ლეკნი ტეზერს, მუნ სძლო მეფემან თეიმურაზ ..

კოშკი ნაგები ყოფილა რიყის ქვით. იგი XX საუკუნის 20-იან წლებამდე მდგარა შემდეგ დაუნგრევიათ და დღეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაშთებიღაა შემორჩენილი. საძირკვლიდან ჩანს რომ კოშკი ცილინდრული ყოფილა.

ამავე გზაზე იდგა **ქვიშხეთის ციხე-დარბაზი და კოშკი.**

ციხე-დარბაზი მდებარეობს სოფლის ცენტრში, ე.წ. ნამოსახლარ გალანძირზე, ჭალის უბანში, ხელოვნურად მოსწორებულ ბორცვზე.

ციხე-დარბაზი გვიანფეოდალური ხანით თარიღდება (XVII-XVIII ს.ს.) კომპლექსს წარმოადგენს. კომპლექსში შედის გალავანი, ეკლესია, სასახლე (გვიანდელი), ოთხკუთხა - კოშკი (შემორჩენილია საძრიკველი).

აქ უნდა ყოფილიყო ქართლის სააბაშიოს რეზიდენცია.

ციხე-დარბაზს თითქმის ნახევარ ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია (20X30 მ.) ნაგებია რიყის ქვით. შემორჩენილია გალავნის დასავლეთის და სამხრეთის კედლები. ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და ნაწილობრივ სამხრეთის კედლები აღარ არის. მხოლოდ ჩრდილოეთის მხარეს ჩანს კედლის მცირე ნაშთები. ეს მხარეები ციხე-დარბაზისათვის მიუდგომელია.

სამხრეთის მხარეს გალავანში მოთავსებულია XIX საუკუნის 70-იანი წლების ნაგებობა - სუმბათაშვილების საცხოვრებელი სახლი.

გალავანში დგას ეკლესია, რომელიც ძლიერ დაზიანებულია, დაკარგული აქვს პირვანდელი სახე. მის დასავლეთით ოთხკუთხა კოშკის საძირკვლის ნაშთებია.

ციხე დარბაზი გვირაბით უკავშირდება მის დასავლეთით მდგარ კოშკს.

ქვიშხეთის კოშკი მდებარეობს სოფლის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში, რომაშვილების უბანში. აგებულია XVII საუკუნეში.

კოშკი ცილინდრულია (დიამეტრი 7,6 მ.). ნაგებია ძირითადად რიყის ქვით, ფასადებზე გამოყენებულია თლილი ქვა, ინტერიერში - აგური, ზედა ნაწილი დანგრეულია შემორჩენილია მხოლოდ ოთხი სართული.

პირველი სართულის შიგნით ცილინდრულია, ზედა სართულები ოთხკუთხა.

კოშკს შესასვლელი მეორე სართულზე აქვს.

პირველ სართულზე სამი სარკმელი, ორი თახჩა და ექვსი ცალმაგი და ორმაგი სათოფურია. ჩრდილო აღმოსავლეთ კედელში დატანებულია ნახმარი წყლის გადასაღვრელი კერამიკური მილი, რომელსაც წინ ამოღარული შვერილი აქვს მიდგმული. მეორე კერამიკული მილი, სავარაუდოა, ღვინისა და წყლისთვის იყო განკუთვნილი. იატაკში ჩაფლული ყოფილა ქვევრები.

მეორე და მესამე სართული საცხოვრებელი და სათავდაცვო სათავსებია. მეორე სართუოლზე ბუხარი, ნიშები და ორი სარკმელია, მესამე სართულზე - ბუხარი და სათოფურები, მეოთხე სართულის დანგრეულ კედლებში შეიმჩნევა თითო სარკმლისა და სათოფურების კვალი.

1732 წლის 21 ივლისს „...მოადგა ლეკნი ქვიშხეთს, ერთ-ღამე ვინცა-ვინ სააბაშიო კაცნი ციხეში იყო, კარგათ იყუნენ, მოკლეს ლეკი მცირედი და დარჩათ ლეკის ბაირაღი ორი".

ამის შემდეგ ლეკებმა ქვიშხეთს თავი მიანებეს და ბორჯომის ხეობაში შეიარეს.

შიდა ქართლიდან ბორჯომის ხეობაში მიმავალ გზას ჰკეტავდა ბუნებრივად გამაგრებული ადგილი, რომელიც **ტაშისკრის** სახელწოდებით არის ცნობილი. მას თავიდანვე ჰქონდა სასაზღვრო პუნქტის ფუნქცია შეძენილი. ეს ფუნქცია მან შეინარჩუნა XIX ს-ის 30-იან წლებამდე, სამხრეთ საქართველოს შემოერთებამდე. ხეობისაკენ მიმავალ გზას თვალყურს ადევნებდა აქვე, მთის ფერდობზე, მდებარე **კოშკი.**

ტაშისკრის კოშკი დღეს აღარ არსებობს. მის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი შემდეგ ცნობას გვაწვდის: „ხოლო ტაშისკრის სამხრით ჩამოვალს დასავლეთიდამ მთა მახვილოსი ცხვირ-ცხვირად, და აღმოსავლიდამ ყერძენის მთის წუერი, და მოავიწროებს მტკუარს კლდითა. აქ მოვიწროებულსა შინა, არს განსავალი კარი და კოშკი მას ზედა, ქართლიდამ ხეობასა შინა სავალი. ამის მიერ ეწოდა ტაშისკარი (ესე არს ქვის კარი)".

როცა ვახუშტი ამას აღნიშნავს, იგი გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ტაშისკარი საუკუნეების მანძილზე ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენდა. მარცხენა მხარეს მას იცავდა მაღალი კლდე, რომელზეც იდგა კოშკი, მარჯვნივ ჩამოუდიოდა მდინარე მტკვარი, შუაში იყო ვიწრო გასასვლელი გზა, რომელსაც ზემოთ ნახსენები კოშკი იცავდა.

ქართულ ისტორიულ წყაროებში ტაშისკარი XI საუკუნიდან მოიხსენიება და ცნობილია, როგორც სასაზღვრო გეოგრაფიული პუნქტი შიდა და ზემო ქართლს შორის. ასეთი მნიშვნელობით აქვთ იგი მოხსენიებული ლეონტი მროველს, ჯუანშერს, ვახუშტი ბატონიშვილს.

გარკვეულ პერიოდში, კერძოდ, ახალციხის მხარეში ოსმალეთის გაბატონების შემდეგ (XVI-XVIII სს.), ტაშისკარი იყო ოსმალეთ საქართველოს (ქართლის) შორის სასაზღვრო პუნქტი.

ტაშისკრის ასეთი გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებდა აქ კოშკის არსებობას. ტაშისკარი ამავე დროს, საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა საბაჟოსაც, რომელიც განთავსებული იყო ზემოთ აღნიშნულ კოშკში. შემორჩენილია პაატა და ნიკოლაოზ აბაშიძეების მიერ ბეჟან ნახუცრიშვილისათვის ტაშისკრის კოშკისა და ბაჟის მიბარების წიგნი, აგრეთვე ტაშისკრის ბაჟის ნუსხა, რომლებიც 1753 წლით თარიღდებიან.

როგორც ჩანს, კოშკი, ასევე საბაჟოც სამეფო კარისაგან ქვიშხეთელი აბაშიძეებისათვის იყო ნაბოძები, სამეფო კარს (ალბათ ვახტანგ VI-ეს) იგი XVIIIსაუკუნის 10-იანი წლებიდან მიცემული უნდა ჰქონოდა ვახუშტი აბაშიძისათვის. პაატა და ნიკოლაოზ აბაშიძეები მისი (ვახუშტის) შვილები არიან.

ტაშისკარი ცნობილია 1609 წელს აქ მომხდარი ბრძოლით, როდესაც გიორგი სააკაძის ხელმძღვანელობით ქართველთა მცირერიცხოვანმა ლაშქარმა დაამარცხა ყირიმელი თათრების მრავალათასიანი ლაშქარი. ქართველები „...ეკუეთნენ ფიცხლად და იქმნა ბრძოლა ძლიერი... მისცათ ღმერთმა ძლევა და მოსწყვიდნეს ურიცხუნი და ივლტოდნენ თათარხანნი, რამეთუ მოსაკიდელთა დედანიცა მესამე დღემდე გამოიყვანდნენ ტყიდამ თათარხანთა, განაშიშულიან და განულევიან".

1785 წელს, სურამში მდგომ ერეკლესა და რუსებზე ლეკ-ოსმალთა ჯარი მოულოდნელად იერიშის მიტანას აპირებდა, მაგრამ მზვერავებმა ერეკლეს შეატყობინეს და თვითონ მიიტანა იერიში მათზე ტაშისკართან. მტერი სასტიკად დამარცხდა. ერეკლემ ტყვე ოსმალები წაიყვანა ხოლო ლეკები იქვე დაახვრეტინა. ამ ბრძოლას საკმაოდ დიდი გამოძახილი ჰქონდა იმ დროინდელ ოსმალურ სამყაროში.

რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების შემდეგ ტაშისკარს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს იგი ერთ ხანს კვლევ რჩებოდა ერთ-ერთ სასაზღვრო პუნქტთან ოსმალეთის იმპერიასთან. ამ მხრიდან კვლავ გრძელდებოდა ლეკთა თავდასხმები. ამიტომ რუსეთის ხელისუფლება იძულებული იყო გაემაგრებინა იგი. აქ შექმნეს ე.წ. „ბორჯომის ბლოკჰაუზი", სადაც იდგა ქართული მილიცია და რუსის ჯარის ნაწილები,რომლებიც ქართლს ლეკთა თავდასხმებისგან იცავდნენ.

ასე გრძელდებოდა ახალციხის მხარის საქართველოსთან შემოერთებამდე (1829 წ.). ამის შემდეგ ტაშისკარი, როგორც სასაზღვრო-გეოგრაფიული პუნქტი, კარგავს თავის მნიშვნელობას.

როდესაც აქ XIX საუკუნის 90-იან წლებში გაიყვანეს ხაშური-ბორჯომის რკინიგზა, გზა გააფართოვეს, მდინარე მტკვარზე ააგეს სარკინიგზო ხიდი ამ სამუშაოებს შეეწირა ის „ქვისკარი", რომელზეც ზემოთ იყო საუბარი. გასული საუკუნის 40-იან წლებში საავტომობილო გზის გაფართოებას შეეწირა ტაშისკრის კოშკი.

დღეს ძველი კოშკისა და „ქვისკარის" ნასახიც აღარ არის.

ტაშისკრის კოშკს ხეობისა და ქართლის სასიგნალო სისტემაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნებოდა. ხეობიდან მომდინარე საშიროება მისი საშუალებით გადაეცემოდა ქვიშხეთს, ქვიშხეთიდან ტეზერს - ცხრამუხას - ხაშურს, აქედან სურამსა და ოსიაურს და ასე გრძელდებოდა მთელშიდა ქართლში.

ბორჯომის ხეობაში ტაშისკრის კოშკის შემდეგ გზას მეთვალყურეობდა **ახალდაბის კოშკი,** აქვე **ციხე** და ის საფორთიფიკაციო სისტემა, რომელიც მთელ მტკვრის ხეობას მიუყვებოდა სამცხე-ჯავახეთისაკენ.

ქართლიდან იმერეთში ერთ-ერთი გადასასვლელი გზა ქვიშხეთიდან გადიოდა,გაივლიდა დღევანდელ ბულბულის ციხეს (უწინდელი ციხისძირი) და აქ უკვე ლიხის ქედით ხვდებოდა ვახანში. ამ გზას იმერეთიდან, ვახანის ციხე დარაჯობდა, ხოლო აღმოსავლეთიდან, ქართლიდან, - ბულბულისციხის ციხე.

ამ გზის შესახებ ცნობები მოიპოვება ჟამთააღმწერელთან.

XIII ს-ის 70-იან წლებში მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებული დავით ულუ დასავლეთ საქართველოდან „წარმოვიდა... და მოვიდა, ქვიშხეთის ბოლოს და სურამს შუა დადგა...".

იგივე ჟამთააღმწერელის მიხედვით 1289 წელს ხუტლუბუღა სადუნის ძე მონღოლთა ბრძანებით ქუთაისში წავიდა მეფე დავით ნარინის ძის, ვახტანგის მოსაყვანად საქართველოში გასამეფებლად: „და ვითარ იხილა ხუტლუბუღა მეფემან დავით, მოუწოდა სპათა თვისთა, წამოემართა და თანაწარმოიტანა ძე მისი, ვახტანგ, გარდმოვიდეს და დადგეს ტასისკარს, ქვიშხეთის მინდორს". აქედან ვახტანგი და მისი მხლებლები „წარმოვიდეს მსწრაფლ და მეფე დავით შეიქცა ქუთაისს".

ქვიშხეთ-ციხისძირის გზა გვხვდება მომდევნო, გვიანდელი პერიოდის წყაროებშიც. ეს გზა უნდა გამოეყენებინა თეიმურაზ I-ს 1632 წელს, როცა ის იმერეთში გადადის. თეიმურაზი, როგორც ცნობილია, როსტომის ქართლში გამეფების შემდეგ, „გორით აიყარა და ქვიშხეთს მივიდა", აქედან კი „იმერეთს გადავიდა".

1736 წლის ივლისში ეს გზა ინტესიურად გამოიყენებოდა ქართველ-ყიზილბაშთა ერთ-ერთი სტუმრობის დროს. ყიზილბაშები ციხისძირიდან გადადიან ნუნისში („ნუნის ჩამოვიდნენ"), ვახანში მყოფმა ვახუშტი აბაშიძემ „შემოიყარა თავისი საყმო" და სასტიკად დაამარცხა მტერი, რომლებიც „გაიქცნენ... (ქართველები) ჩაყუნენ ციხისძირამდის ცემითა და ხოცითა".

ამ გზაზე ქვიშხეთში, მის ჩრდილო-დასავლეთით 300-400 მეტრზე, ადგილ **ფერიცვალებაზე** მდებარეობს კიდევ ერთი კოშკი, მას **ფერიცვალების კოშკსაც** ეძახიან.

კოშკი სწორკუთხაა (7,2X6,9 მ.). ნაგებია ნატეხი ქვიშა ქვით. ოთხ-სართულიანია, ზემოთკენ ვიწროვდება. მეორე სართულს ჩრდილოეთის მხრიდან სწორკუთხა შესასვლელი აქვს. პირველი სართულის დიდი ნაწილი ნანგრევებითაა ამოვსებული, კედლებში რამდენიმე სწორკუთხა ნიშია.

მეორე სართულის აღმოსავლეთ კედელში ნახევარწრიული ბუხარია, რომლის გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშია. ასეთივე ნიშებია სამხრეთით და დასავლეთით.

მესამე სართული ძლიერ დაზიანებულია. მის ოთხივე კედელში თითო სწორკუთხა სარკმელია, რომელთა გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშია.

მეოთხე სართულის მხოლოდ 1 მეტრი სიმაღლის კედლებია შემორჩენილი.

სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე იყო გამართული.

ფასადი შემოსილია ჰორიზონტალურ რიგებად დაწყობილი ნატეხი ქვიშაქვით.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)



ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობანი.

წრომის ტაძარი. **ნიკა კიკაძის ფოტო.**

სექტემბრიდან მოსწავლეები კვლავ ონლაინ-რეჟიმში ისწავლიან? - სამინისტრომ გამომცემლობებს ელექტრონული წიგნების მომზადება დაავალა

განათლების სამინისტრომ გამომცემლობებს 2020-2021 სასწავლო წლისთვის ელექტრონული წიგნების მომზადების დავალება მისცა.

ამის შესახებ თავად გამომცემლობებში განუცხადეს. მათი განმარტებით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან ონლაინ შეხვედრა გამართეს, რომელზეც სწორედ ონლაინ სახელმძღვანელოების შექმნის აუცილებლობა განიხილეს.

უფრო კონკრეტულად, როგორც "პალიტრა L-ის" დირექტორმა თიკო ასათიანმა განაცხადა, გამომცემლობების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სექტემბრიდან მოსწავლეებისთვის კვლავ ონლაინ რესურსებით სწავლების გაგრძელება განიხილება.

"ჩვენი აზრით, ბეჭდური წიგნები უნდა შენარჩუნდეს. ერთი მხრივ, ცუდია ბავშვებისთვის კომპიუტერთან მიჯაჭვულობა და მეორე მხრივ, თუ თავიდანვე არ მივაჩვიეთ ბავშვი წიგნთან ურთიერთობას, მერე და მერე სულ „გაჯეტებზე" იქნება დამოკიდებული. ასევე, გამომცემლობები და ავტორები იყვნენ უკმაყოფილო, თუ როგორ უნდა მოხდეს ასეთ შემთხვევაში ანაზღაურება.

იყო საუბარი, რომ რამდენ გვერდსაც გახსნიან და ჩამოტვირთავენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, იმის მიხედვით იქნება ანაზღაურება. აქ საფრთხე ისაა, რომ ერთი პდფ ფაილი თუ გავრცელდა, თავიდან არავინ ჩამოტვირთავს და ამის კონტროლი რთული იქნება. ეს პრობლემა ყოველთვის იყო, მაგრამ უმთავრესი პრობლემა მაინც ის არის, რომ ბავშვები უნდა დავაშოროთ წიგნებს.

იყოს დისტანციური სწავლება თუ სხვა გზა არ იქნება, მაგრამ ბავშვს უნდა ჰქონდეს წიგნში თითის გაყოლების საშუალება. ბავშვმა რვეულში უნდა შეავსოს დავალება და არა კომპიუტერში, კლავიატურაზე. წიგნთან ურთიერთობა ბავშვს უნდა ჰქონდეს. გაკვეთილები კომპიუტერში და დავალებებიც კომპიუტერში?! ამაშია საქმე,"- აღნიშნა თიკო ასათიანმა.

რაც შეეხება სხვა გამომცემლობებს, "დიოგენეს" ხელმძღვანელ თამარ ლებანიძესაც ვესაუბრეთ, რომლის თქმითაც, გამომცემლობა მზადაა სწავლის დაწყებამდე მოსწავლისთვის ონლაინ რესურსის შექმნა მოასწროს.

"რა თქმა უნდა, ეს საკითხი დგას დღის წესრიგში, რადგან არ ვიცით, როგორ განვითარდება მოვლენები ვირუსის გამო. მუშაობა ჯერჯერობით არ დაგვიწყია, სამინისტროსთან ერთად განხილვის რეჟიმში ვართ. პერიოდულად იქნება ონლაინ შეხვედრები ამ საკითხთან დაკავშირებით. მე, როგორც რიგითი მოქალაქე და სკოლის გულშემატკივარი, იმედს ვიტოვებ, რომ სწავლა სრულფასოვნად განახლდება. ჯერჯერობით დეტალურად არ გვისაუბრია სამინისტროსთან, თუმცა, სავარაუდოდ, ყველა კლასისთვის იქნება ონლაინ სახელმძღვანელოები.

ამაზე არანაირი მკაფიო პოზიცია არაა ჩამოყალიბებული, ფასიანი იქნება თუ უფასო. სავარაუდოდ, ხელმისაწვდომობა უფასოდ შენარჩუნდება საჯარო სკოლებისთვის, მაგრამ ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი, რამდენადაც ვიცი. ერთი შეხვედრა გვქონდა ონლაინ რეჟიმში, სავარაუდოდ, მეორე შეხვედრა გაიმართება ამ კვირაში.

ერთადერთი, რაც ვიცი, მომდევნო შეხვედრაზე განვიხილავთ ყველა შესაძლო ვარიანტს, ყველა იმ წინადადებას, რაც სამინისტრომ მოამზადა და რა შეთავაზებაც გარედან ჰქონდა, კომპანიების მხრიდან. სიმართლე რომ გითხრათ, წმინდა ინტუიციური თვალსაზრისით და არა ფაქტებიდან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია შერეული ვერსია იყოს. არსებობდეს ბეჭდური სახელმღვანელო, რომელსაც დაურიგებენ საჯარო სკოლის მოსწავლეებს და კერძო სკოლები შეისყიდიან, როგორც ეს აქამდეც იყო და პარალელურად, გაგრძელდეს ონლაინ სწავლებაც, რომელიც რასაკვირველია, იქნება უფრო დახვეწილი," - განაცხადა თამარ ლებანიძემ.

რაც შეეხება უშუალოდ პირველკლასელებს, თამარ ლებანიძის თქმით, საზოგადოებაში ბევრი მოდელი განიხილება, მათ შორის, ის, რომ სწავლა ონლაინ რეჟიმში განახლდეს ყველა კლასის მოსწავლისთვის, გარდა პირველკლასელებისა.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.